ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N010622-3-1

ქ. თბილისი **1ივნისი, 2022 წელი**

ერთი მხრივ, **სსიპ „აწარმოე საქართველოში“** (შემდგომში - ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი დირექტორის მიხეილ ხიდურელის სახით (**მის:** ქ. თბილისი, მარჯანიშვილის №5/16-18, **ტელ:** +995 32 2960010, **ს/კ:** 204582763, **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა 200122900)

მეორე მხრივ, **შპს ,,სკანდინავიან ავტო თეგეტა“,** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის **ლაშა ნარუსაშვილის** სახით, (იურიდ. მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N137, მობ: 598 504 060, ს/კ: 405335766, **საბანკო რეკვიზიტები:** სს თიბისი ბანკი, კოდი: TBCBGE22, ა/ა GE12TB7937836020100004

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების საფუძველზე, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ (ორგანიზაციის კოდი 24 07 01) 2022 წლის დაფინანსების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) ”შემსყიდველსა” და ”მიმწოდებელს” შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს ”შემსყიდველმა” ”მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მოწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი/მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტი და ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია, სსიპ „აწარმოე საქართველოში“-ს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების - **მსუბუქი ავტომანქანა VOLVO S60-** GG312EG **(გამოშვების წელი - 2019)** - ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV კოდი 50110000).

2.2. შესყიდვის ობიექტია ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, რაც გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალების დიაგნოსტიკურ და პროფილაქტიკურ მომსახურებას, ავტოსატრანსპორტო საშუალების ოპერატიულ შეკეთებას, სათადარიგო ნაწილების შეკეთებას ან/და შეცვლას, ნაწილის შეცვლა გულისხმობს არსებული ნაწილების შეცვლას ახლით და ამისათვის საჭირო ყველა მომსახურების გაწევას (მათ შორის სხვა ნაწილის მოხსნა-დაყენებას).

2.3. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურება შეისყიდოს საჭიროების შესაბამისი მოცულობით.

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ში (პრეისკურანტი) გაწერილი პოზიციების შეცვლა, დაყენება, მომსახურება, ხორციელდება მომწოდებელთან დადებული 4 მაისის N040522-3-1 ხელშეკრულებით განსაზღვრული 1 წლიანი საგარანტიო პირობების პარალელურად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში და შეადგენს არაუმეტეს- **5,000.00 (ხუთი ათასი) ლარს.**

3.2. პრეისკურანტის ჯამური ღირებულება შეადგენს **4,113.00 (ოთხი ათას ას ცამეტი)** ლარს.

3.3. ხელშეკრულებით გათვალიწინებული მომსახურების ერთეულის ფასი მოცემულია **დანართი N1**-ში (პრეისკურანტში). **პრეისკურანტში დაფიქსირებული ერთეულის ფასი შესაძლებელია შეიცვალოს ყოველი კონკრეტული მომსახურების გაწევის დროს, ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს პრეისკურანტში დაფიქსირებული ამავე მომსახურების ერთეულის ფასისა. აღნიშნული ცვლილება ფიქსირდება დეფექტურ აქტში და შესაბამისად აღნიშნული არ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების გაფორმებას.**

3.4. ხელშეკრულების საბოლოო ჯამური ღირებულება განისაზღვრება ფაქტიურად გაწეული მომსახურების ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, **მაგრამ არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებისა და შესაბამისად ხელშეკრულების ჯამური საბოლოო ღირებულების განსაზღვრა აღარ საჭიროებს მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმებას.**

3.5. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ისე მის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

4. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ვადები:

4.1.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2022 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით, პრეისკურანტისა და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილი:

4.2.1. მომსახურების გაწევა განხორციელდება ქ. თბილისში მიმწოდებლის კუთვნილ სერვის–ცენტრებში.

4.3 ტექმომსახურების ჩატარების წესი:

4.3.1 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვისას გონივრულ ვადაში ჩაატაროს ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერება, რის შემდეგადაც მხარეები ადგენენ დეფექტურ აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გასაწევი მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილების დეტალური აღწერა, მათი ღირებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეებს შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იქნას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ეტაპობრივად, მხარეთა შორის უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.

5.4. „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სააგენტოს სსიპ „აწარმოე საქართველოში“ **ლოჯისტიკის სპეციალისტს ივანე ვერძეულს ან/და ლოჯისტიკის მენეჯერს გიგა ხარჩილავას.**

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა. ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ. ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, დოკუმენტის სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებანი

7.1. **„მიმწოდებელი“ ვალდებულია:**

7.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად განახორციელოს შემსყიდველის ხარისხიანი და გარანტირებული მომსახურება;

7.1.2. შემსყიდველის მიმართვისთანავე ჩაატაროს ავტოსანრანსპორტო საშუალების დათვალიერება;

7.1.3. მომსახურების გაწევის პროცესში გამოიყენოს მხოლოდ ახალი და არა მეორადი ნაწილები;

7.1.4. მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის წუნის აღმოჩენისთანავე უზრუნველყოს მომსახურების ხელახალი გაწევა და სათადარიგო ნაწილის გამოცვლა უფასოდ, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

7.2. **„შემსყიდველი“ ვალდებულია** უზრუნველყოს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას, ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, „შემსყიდველის“ მხრიდან განახორციელებს **ლოჯისტიკის სპეციალისტი ივანე ვერძეული ან/და ლოჯისტიკის მენეჯერი გიგა ხარჩილავა.**

8.2. ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

ა. მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

ბ. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

გ. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება.

8.3. ”შემსყიდველი” ინსპექტირების მიზნით საკუთარი ან მოწვეული პერსონალსის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თავად.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, მათი გამოვლენიდან გონივრულ ვადაში.
8.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0.02%-ის** ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 10 კალენდარულ დღეს, მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებიდან გასვლის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება, როგორც ყოველ ვადაგადაცილებულ დღეებზე ისე ხელშეკრულების 9.3 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს ოდენობით.
9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, გარდა ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების **0.02%-ის ოდენობით.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების **0.1%**, მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს გავიდეს ხელშეკრულებიდან და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების 9.3 პუნქტით დადგენილი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის გამო შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა **10%-ის** ოდენობით.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით.
9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად (გარდა 3.3. და 3.4 პუნქტებისა).
10.2. პრეისკურანტში მომსახურების, სათადარიგო ნაწილის, რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით, მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებელის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შემდეგ დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.
10.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები "შემსყიდველისთვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.
10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5 (ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2023 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

15. საგარანტიო პირობები და ვადები

15.1. მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასა და გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე ვრცელდება გარანტია ავტომობილის საგარანტიო პირობების შესაბამისად.
15.2. ქარხნული წუნის შემთხვევაში ყველა ნაწილი ექვემდებარე შეცვლას.

16. ინტერესთა კონფლიქტი

16.1. შემსყიდველის მხრიდან, ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირი, ქვემოთ ხელისმოწერით ადასტურებს, რომ მიმწოდებლის მიმართ სრულად აკმაყოფილებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

17. სხვა პირობები

17.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე და ხელმოწერილია ელექტრონულად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

18. მხარეები

„შემსყიდველი“ სსიპ „აწარმოე საქართველოში“	„მიმწოდებელი“ შპს „სკანდინავიან ავტო თეგეტა“
LEPL Enterprise Georgia Digitally signed by LEPL Enterprise Georgia DN: cn=LEPL Enterprise Georgia, 2.5.4.97=NTRGE-204582763, o=***

დანართი N1

N	დასახელება	კოდი	ფასი	შეცვლის საფასური
1	სამუხრუჭე ხუნდი წინა	31423652	450,00	72.00
2	სამუხრუჭე დისკი წინა 1 ცალი	31665446	520,00	27,00
3	სამუხრუჭე ხუნდი უკანა	32287430	400,00	72,00
4	სამუხრუჭე დისკი უკანა 1 ცალი	31423721	450,00	27,00
5	ზეთის ფილტრი	32140029	67,00	36,00
6	ჰაერის ფილტრი	31370089	125,00	18,00
7	სალონის ფილტრი	31407748	155,00	18,00
8	ძრავის ზეთი 1 ლიტრი	0W20	39,00	
9	წინა მინის მწმენდი	31693569	130,00	9,00
10	აალების სანთლები	31673604	250,00	27,00
11	ძრავის ღვედი დამჭიმებით	32213096	600,00	189,00
12	გენერატორის ღვედი დამჭიმებით	31480362	380,00	99,00
13	საბურავის მ/დ დ/ა და ბალანსირება			25,00